

## მეხილეობა (თესლოვანი კულტურები) (დუალური მიდგომით)



**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები)

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია თესლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-წარმოებასთან, კერძოდ:

- სამრეწველო ბაღებსა და სათბურებში;
- სპეციალიზებულ საწარმოებში;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების სადემონსტრაციო-ექსპერიმენტულ ნაკვეთებში;
- ნერგებისა და ჩითილების სარეალიზაციო პუნქტებში;
- ხილის შემგროვებელ პუნქტებსა და საკონსოლიდაციო ცენტრებში;
- საბაღე ტიპის პარკებსა და სარეკრეაციო ზონებში;
- სააგარაკო და სასახლკარე ნაკვეთებში;
- წვრილ, საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში;

**მიზანი:** საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის მიზანია პირისათვის „მეხილეობა (თესლოვანი კულტურები)“ პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

**სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის გათვალისწინებით**

**პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია:**

- ხილკენკროვანი კულტურების მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების მიხედვით დახასიათება;
- ხეხილკენკროვანი კულტურების ჯგუფებად დაყოფა;
- ხილკენკროვანი კულტურების ძირითადი ჯიშების გამოცნობა და ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების დროს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღის გასაშენებლად ადგილის შერჩევა;
- საბაღე ფართობის ტერიტორიული მოწყობაში მონაწილეობა;
- ბაღის გასაშენებლად სარგავი მასალის შერჩევა-მომზადება და დარგვა;
- ხილკენკროვანი ბაღის მოვლის თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა;
- ბაღში ნიადაგის დამუშავება და განოყიერება;

- მორწყვისა და ირიგაციის სათანადოდ გამოყენება;
- ბაღში მცენარეთა დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღში გაცდენილი ადგილის გამორგვა-შევსება;
- კრიტიკული სიტუაციების მართვა;
- დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის წარმოება;
- ხეხილის სხვა- ფორმირების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ახალგაზრდა ხეხილის ფორმირება;
- ხეხილის გასხვლა;
- ნიადაგის დასამუშავებელი სას.სამეურნეო მანქანა-დანადგარების იდენტიფიკაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით ნიადაგის დამუშავების მონიტორინგი;
- მცენარეთა შესაწამლი და სასუქების შემტანი აგრეგატების შერჩევა;
- მცენარეთა შესაწამლი , მოსავლის ასაღები და დასახარისხებელი, სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება;
- მოსავლის აღების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- მოსავლის ასაღებად სათანადო ტექნიკა-ინვენტარის მომზადება;
- ხილის კრეფა;
- ხილის დახარისხება სათანადო პარამეტრების შესაბამისად;
- საცავების მომზადებას მოსავლის დროებით შესანახად შენახვის ოპტიმალური რეჟიმების დაცვით;
- თესლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- თესლოვანი კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება;
- თესლოვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები;
- ინტენსიური ტიპის სამრეწველო სადემონტრაციო ნაკვეთზე თესლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- თესლოვანი კულტურების წარმოებისას თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- თესლოვანი კულტურების ბაღის გაშენება;
- თესლოვანი კულტურების ბაღის მოვლა;
- თესლოვანი კულტურების ბაღის სხვა-ფორმირება;
- თესლოვანი კულტურების მოსავლის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა;
- სურსათის უვნებლობის წესების აღწერა ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მიზნით;
- მოცემული ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, კალენდარული ვადებისა და მცენარეთა განვითარების ცალკეული ფენოფაზების შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოების იდენტიფიცირება;
- უვნებელი და ხარისხიანი ხილკენკროვანი კულტურების წარმოების დროს და შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება.

**პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 62 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 2 წელი.

**პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია:**

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი